

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება №  
—დეკემბერი 2023 წელი**

**ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევისთვის, გუჯარეთის II ქუჩისთვის,  
მელაანის I და II ჩიხისთვის პოლიტიკური მოღვაწის, რაფდენ არსენიძის სახელის მინიჭების  
შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს პოლიტიკური მოღვაწის რაფდენ არსენიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ისნის რაიონში, გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს პოლიტიკური მოღვაწის რაფდენ არსენიძის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ისნის რაიონში, გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს პოლიტიკური მოღვაწის რაფდენ არსენიძის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
4. ისნის რაიონში, მელაანის I და II ჩიხებს მიენიჭოს პოლიტიკური მოღვაწის რაფდენ არსენიძის II და III ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
5. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

X:486150 Y:4615769

ରାଜ୍ୟେ ଆଲ୍ସିନ୍ଦୋବ ଜ.

X:486183 Y:4615722

II Bobo

X:486219 Y:4615711

III Bobo

X:486123 Y:4615698

X:486206 Y:4615679

X:486295 Y:4615687

X:486212 Y:4615673

X:486367 Y:4615644

X:486197 Y:4615557

ରାଜ୍ୟେ ଆଲ୍ସିନ୍ଦୋବ ଜ.

I Bobo



19/032301747-03

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონი გიორგი,

\* \* \*

უწინარეს ყოვლისა, გვსურს მადლიერება გამოვხატოთ თქვენს მიერ 2022 წლის 9 აგვისტოს დადგენილების (N: 409) გამო, რომლის თანახმად, ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ცნობილი ქართველი იურისტის დავით ხელთუფლიშვილის სახელი მიენიჭა ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინიციატივის საფუძველზე და რომელიც გახმიანდა ჯერ კიდევ საქართველოს იუსტიციის სამინისტოს ჟურნალ „იუსტიციას“ 2022 წლის პირველ ნომერში (თებერვალი).

ზემოთ აღნიშნული დადგენილება (N: 409) გამოქვეყნდა საქართველოს იუსტიციის სამინისტოს ჟურნალ „იუსტიციას“ 2022 წლის მესამე ნომერის (დეკემბერი) რუბრიკაში - „სამართლის პერსონოლოგია“ (გვ. 279). გიგზავნით ჟურნალის ამ ნომერს.

\* \* \*

ამჟამად კვლავ წარმოგიდგენთ მორიგ თაოსნობას ქ. თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის ცნობილი ქართველი იურისტის რაჟდენ არსენიძის სახელის მინიჭების თაობაზე, რომლის შესახებ ინიციატივა გაცხადდა საქართველოს იუსტიციის სამინისტოს ჟურნალ „იუსტიციას“ 2022 წლის მესამე ნომერში (დეკემბერი), გვ. 267.

\* \* \*

რაჟდენ არსენიძე (1880-1965) საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია რაჟდენ არსენიძის იდეებითა გაუღენთილი. სწორედ პირველ კონსტიტუციაში მოხდა მისი ინტელექტუალური მემკვიდრეობის დაუნჯება.

თუმცა, საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ავტორობაც იკმარებდა.

რაჟდენ არსენიძის ცხოვრება და მრავალმხრივი მოღვაწეობა კარგადაა შესწავლილი. თუმცა მისი, როგორც გამოჩენილი იურისტის ღვაწლი, ჯერ კიდევ სათანადოდ არაა შეფასებული. როგორც პიროვნებამ, სამართალმცოდნემ, სახელმწიფო მოღვაწემ და კანონმდებელმა, თვალსაჩინო როლი შეასრულა პირველი რესპუბლიკის სამართლებრივი სისტემისა და პირველი ქართული კონსტიტუციის პროექტის სამართლებრივი საქმეში<sup>1</sup>. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან ასევე სამართლის არა შედგენის საქმეში<sup>1</sup>. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან ასევე სამართლის არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ მისი საკანონმდებლო ტექნიკის განვითარების მხრივ<sup>2</sup>.

\* \* \*

რაჟდენ მათეს ძე არსენიძე დაიბადა 1880 წლის 1 ოქტომბერს სოფელ სოჩიეთში (ქუთაისის მაზრა, ახლანდელი ტყიბულის რაიონი). მამა სასულიერო პირი, დიაკონი ჰყავდა და შვილს პირველი ქართველი წამებულის, რაჟდენ პირველწამებულის სახელი დაარქვა. სწავლობდა ქ. ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ იურიევის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება.

თავისი პოლიტიკური მრწამსით იგი იყო სოციალ-დემოკრატი, იბრძოდა რუსეთის თვითმყრობელობის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჭაბუკობიდანვე ჩაება (პარტიული ზედმეტი სახელი – მიშა). რსდმპ II ყრილობის შემდეგ მიემხრო მენშევიკებს. მუშაობდა თბილისის, ზათუმის, ქუთაისის, ბაქოს მენშევიკურ ორგანიზაციებში. ხშირად გამოდიოდა მიტინგებზე მგზნებარე

<sup>1</sup> იგი იყო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს საკონსტიტუციო და იურიდიული კომისიების თავმჯდომარე.

<sup>2</sup> როგორც დამფუძნებელი კრების სარეგლამენტო, სარედაქციო და ხელოვნების კომისიების, ასევე საკონსტიტუციო კომისიასთან არსებული ქვეკომისიის წევრმა.

რევოლუციური მოწოდებებით, ეწეოდა არალეგალურ საქმიანობას, წერდა პოლიტიკურ წერილებსა და პროკლამაციებს, რისთვისაც გადასახლებული იყო ციმბირში. პარტიის დავალებით ერთხანს მეოთხე დუმის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში მუშაობდა პეტროგრადში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს მოაშურა. მონაწილეობდა 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტის შედგენაში. იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, 1919 წელს - დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

თანამედროვეთა ერთსულოვანი მოწმობით, რაჟდენ არსენიძის თაოსნობითაა შედგენილი „საქართველოს კონსტიტუცია“, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო 1921 წლის თებერვალში. საქართველოს მთავრობის წევრს, ნოე ცინცაძეს თუ დავესესხებით, – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას რ. არსენიძის კულტურისა და ცოდნის ბეჭედი აზის“ („ჩვენი დროშა“, პარიზი, 1965, N43, გვ. 6).

რაჟდენ არსენიძე ახალგაზრდობიდანვე აქტიურ სამწერლო-პუბლიცისტურ საქმიანობას ეწეოდა. თანამშრომლობდა გაზეთებში „ივერია“, „კვალი“, აგრეთვე, სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც მთავრობის განკარგულებით ხშირად იხურებოდა: „სხივი“, „ლამპარი“, „მერცხალი“. „ჩვენი დროება“, „განთიადი“ და ბევრი სხვა.

1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ რაჟდენ არსენიძე იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო. თავდაპირველად სტამბოლში დასახლდა, რომ სამშობლოსთან ახლოს ყოფილიყო და მისი განთავისუფლებისთვის ებრძოლა. ამ მიზნით გაწევრიანდა ეროვნულ მთავრობასთან დაარსებულ „სტამბოლის პოლიტიკურ კომისიაში“, რომელსაც ნოე ხომერიკი ხელმძღვანელობდა. ამასთან, რედაქტორობდა სტამბოლში გამომავალ მის პერიოდულ ორგანოს – „თავისუფალ საქართველოს“. სულ გამოვიდა ამ ჟურნალის 27 ნოემბერი 1921 წლის 15 მაისიდან 1922 წლის 15 ოქტომბრამდე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რაჟდენ არსენიძის „თავისუფალი საქართველო“ მიუკერძოებელი ისტორიული ქრონიკაა იმ პერიოდის საქართველოში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიისა.

1930-იან წლებში პარიზში მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა ჟურნალი „სოციალისტური აზრი“.

1952 წელს, როცა მიუნხენში დაარსდა ანტისაბჭოური რადიო „თავისუფლება“, ბატონი რაჟდენი უყოყმანოდ დაინიშნა ქართული რედაქციის პირველ დირექტორად. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა ქართველი ემიგრანტები და 10 წლის მანძილზე უკვე რადიოს საშუალებით იზრმოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სივრციდან სამშობლოს გამოსახველად. ვიქტორ ნოზაძე მას ასე ახასიათებს: „რაჟდენმა ძალიან კარგად იცოდა ქართული ლიტერატურა და ბევრ ლექს ზეპირად იტყოდა ხოლმე. იგი იყო ქართული კულტურის დიდი მოყვარული; ესმოდა იგი კარგად და არ გაუშვებდა ისეთ წიგნს, რომელიც ამ საკითხს შეეხებოდა, რომ იგი არ წაეკითხა... იგი იყო ფართო დიაპაზონის კაცი! თავისი პარტიული ამხანაგების უმრავლესობისაგან გამოირჩეოდა ფართო განათლებით, გონების ჰორიზონტით და საქართველოს წარსულის კარგი ცოდნით“ („კავკასიონი“, პარიზი, 1967, XII, გვ. 139, 141).

რაჟდენ არსენიძე რამდენიმე საყურადღებო ნაშრომის ავტორია. 1917 წელს, თბილისში, გამოიცა მისი „დემოკრატიული რესპუბლიკა“. ეს არის მრავალმხრივ საინტერესო გამოკვლევა, როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური და ისტორიული თვალსაზრისით. ფაქტობრივად, მასში აისახა ქართველი სოციალ-დემოკრატების პროგრამული შეხედულებები სახელმწიფო მოწყობისა და მართვა-გამგეობის საკითხებთან დაკავშირებით. ავტორი არ მალავს თავის უარყოფით შეხედულებებს მმართველობის ამერიკული მოდელისადმი, არ მოსწონს და არადემოკრატიულად მიიჩნევს ორპალატიან პარლამენტს, ცდილობს თავისებურად შეაფასოს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტი და საკითხი. იგი ცალსახად ევროპულ, კერძოდ, შვეიცარიულ მმართველობას ანიჭებს უპირატესობას, როგორც უშუალო დემოკრატიის გამოვლინების საუკეთესო ნიმუშს. შეიძლება ითქვას, რომ „დემოკრატიული რესპუბლიკა“ მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული სამართლებრივი ლიტერატურის გამორჩეული ნაშრომია. ალბათ სწორედ ამიტომ, 2014 წელს ეს წიგნი მეორედ გამოიცა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მიერ, ქართული სამართლის კლასივის სერიით.

რაჟდენ არსენიძე არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ პოლიტიკურ-ურნალისტური მოღვაწეობით და მეცნიერულ მუშაობასაც მისდევდა. კერძოდ, იგი ავტორია ნაშრომისა: „განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა“ (პარიზი, 1963).

1962 წელს რაჟდენ არსენიძე მიუნხენიდან დაბრუნდა და ლევილის შატოში დასახლდა. ავადმყოფობის მიუხედავად კვლავაც ხალისით მონაწილეობდა, როგორც პარტიულ, ისე საზოგადო ქართულ საქმიანობაში. გარდაიცვალა 1965 წლის 24 მაისს.

დაკრძალულია ლევილში. თავის უკანასკნელ წერილში მას ანდერმი დაუტოვებია: „ჩვენ თამამად ვაცხადებთ, რომ იარაღი არ დაგვიყრა, ბრძოლა არ შეგვიწყვეტია, იგი გრძელდება და არ წყდება, სანამ ქართველი ხალხი არ მოიპოვებს თავისუფლებას, სანამ არ გახდება სრული გამგე და პატრონი თავის მომავლის!“...

ემიგრაციაში ყოფნის დროს რაჟდენ არსენიძის მოღვაწეობას ქართული სამართლის ისტორიის ძეგლებისადმი მისი განსაკუთრებული ინტერესი ამკობს. დიდად საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა მან 1963 წელს მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობას. ავტორმა მოკრძალებულობა გამოიჩინა და ამ ნაშრომის სათაურში „განხილვა“<sup>3</sup> იკავა. თუმცა, მხოლოდ განხილვა კი არა, არამედ მეცნიერული ნაშრომია ქართული სამართლებრივი აზროვნების გვირგვინად წოდებული ძეგლის თაობაზე. მისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომების გამოცემით არ შემოიფარგლებოდა. ის ამ საკითხებზე ლექციებს კითხულობდა პარიზში და ამით ქართულ სამართლებრივ მემკვიდრეობას უცხოეთში დიდ პოპულარობას უწევდა.

\* \* \*

ქართულმა სახელმწიფომ დროა ღირსეულად დააფასოს რაჟდენ არსენიძის თვალსაჩინო წვლილი ქართული სამართლებრივი და პოლიტიკური აზროვნების, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართული სახელმწიფოს განვითარება-განმტკიცებაში.

იმედია, თბილისის საკრებულო კვლავ გამოიჩენს განსაკუთრებულ ინტერესს ქვეყნის წინაშე სამშობლოს ერთგულებისათვის თავმიძღვნილი მამულიშვილის ფასდაუდებელი ლვაწლის მიმართ და თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიანიჭებს მის სახელს.

გთხოვთ, განხილოთ ჩვენი ინიციატივა ქ. თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის გამოჩენილი ქართველი იურისტის რაჟდენ არსენიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

<sup>3</sup> განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა. პარიზი. 1963.

პატივისცემით,

*მინდას უგრეხელიძე*

მინდას უგრეხელიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,  
საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველი

ს. ქ. ნაზარია

ბექა ქანთარია

სამართლის დოქტორი,  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კონსტიტუციური დემოკრატიის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამეცნიერო ჟურნალ „იუსტიციას“  
გამოცემათა გამწესრიგებელი

16 იანვარი, 2023 წელი

საკონტაქტო პირი: ბექა ქანთარია

პირადი ნომერი: 51001002256

თბილისი, გურამიშვილის 12ა, ბინა 66.

ტელ: 599334770

ელ. მისამართი: science.Law@ciu.edu.ge



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY



წერილის ნომერი: 03-032333474  
თარიღი: 30/11/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის  
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო  
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

### სააგენტოს უფროსის ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმის წარმოების პროცესი ბეჭა ქანთარიას 2023 წლის 17 იანვრის საქმე #19/032301747-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ცნობილი ქართველი იურისტის რაჟდენ არსენიძის სახელის მინიჭება.

გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხატული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევის, გუჯარეთის II ქუჩის, მელაანის I და II ჩიხების სიტუაციური ნახატი (შემდგომში რაჟდენ არსენიძის სახელობის ქუჩა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 7 (შვიდი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საქართველო  
სამართლის იურიდიკული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ფრანსკორთისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: **16-01233421574**  
თარიღი: **08/12/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო გარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ: +995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 30.11.2023 წლის # 03-032333474 (30.11.2023 წ. #14-01233343957-16) განცხადება, რომლის პასუხადც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





## რაჭდენ არსენიძე

(1880-1965)

პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

დაიბადა მედავითნის ოჯახში. 6-7 წლისამ დაიწყო საშინაო განათლების მიღება. ორი წლის განმავლობაში სოფლის სამრევლო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი, მასწავლებლის რჩევით, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან სტიპენდიით განაგრძო სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში სწავლის დროს დაუახლოვდა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს. სემინარიის დასრულების შემდეგ სწავლობდა იურიევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1901 წელს, სწავლის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ, სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს და გარიცხეს სასწავლებლიდან. ამის შემდეგ კიდევ უფრო დაინტერესდა სოციალ-დემოკრატიული იდეებით.

1902 წელს გადასახლდა თბილისში და მუშაობდა რსდმპ-ის თბილისის ორგანიზაციასა და გაზეთ „კვალის“ რედაქციაში. ერთი წლის შემდეგ გამოუცხადეს ადმინისტრაციული გადასახლება ტაშკენტში. არსენიძე დაიმალა ბათუმში და იატაკევეშ ცხოვრობდა სხვადასხვა გვარით. 1904 წელს დააპატიმრეს და ჩასვეს მეტენის ციხეში. 1905 წელს არსენიძე იყო რსდმპ-ის ბათუმის კომიტეტის თავმჯდომარე. 1906 და 1910 წლებში ორჯერ გაასამართლეს. გასამართლებებს შორის 1908-1912 წლებში მოახერხა იურიდიული ფაკულტეტის დასრულება. სწავლის დასრულების შემდეგ ჩაეწერა ქუთაისის ვექილთა სასამართლოს თანაშემწედ. 1913 წლის 29 აპრილს დააპატიმრეს. ჯერ სანქტ-პეტერბურგის ციხეში იჯდა, ხოლო შემდეგ 5 წლით გადასახლეს ირკუტსკის გუბერნიაში.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და გახდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს წევრი. 1917 წლის ნოემბერში გახდა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიული გაზეთ „ერთობის“ რედაქტორი. 1918

წლის თებერვლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებაში. 1919 წლიდან არცეული იყო დამფუძნებელი კრების წევრად, სადაც იყო საკონსტიტუციო და იურიდიული კომისიების თავმჯდომარე. 1919 წლიდან ეკავა იუსტიციის მინისტრის პოსტი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში.

საქართველოში საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ გაემგზავრა ემიგრაციაში, ეწეოდა ანტისაბჭოთა საქმიანობას. 1921-1923 წლებში ცხოვრობდა სტამბოლში, სადაც იყო ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს“ რედაქტორი. 1923 წლიდან გადასახლდა საფრანგეთში. 1924 წლის სექტემბერში აგვისტოს აჯანყების ჩახშობის შემდეგ საქართველოს სსრ-ის ხელისუფლებამ მოახდინა მისი ქონების კონფისკაცია.[1] 1925 წლიდან რედაქტორობდა ჟურნალებს „ბრძოლას“ და „სოციალისტურ აზრს“. 1949 წელს თანამშრომლობდა ჟურნალ „ჩვენს დროშასთან“, 1951 წლიდან „მებრძოლ საქართველოსთან“. 1953-1962 წლებში იყო რადიო „თავისუფლების“ ქართული სექციის რედაქტორი. ემიგრაციაში იკვლევდა ქართული სამართლის ისტორიას. 1963 წელს პარიზში გამოსცა ნაშრომი „განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა“.